საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 9 21 0000411023

27/04/2021

ბრძანება

ქ. თელავი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 25 აგვისტოს N725378 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის N175 დადგენილებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 აპრილის N6 ოქმის N4 საოქმო დადგენილების საფუძველზე:

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 25 აგვისტოს N725378 ბრძანებაში და 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ადმინისტრირების ვადები საბაკალავრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

- 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო პროცესი შეჩერდეს 2021 წლის 04 მაისიდან 2021 წლის 16 მაისის ჩათვლით.
- 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო პროცესი განახლდეს 2021 წლის 17 მაისიდან და სილაბუსით გათვალისწინებული დარჩენილი საკონტაქტო საათები ჩატარდეს 2021 წლის 28 ივნისამდე.
- 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასესიო პერიოდი განისაზღვროს 2021 წლის 28 ივნისიდან 2021 წლის 12 ივლისამდე.
- დამატებით სასესიო პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 9 ივლისიდან 22 ივლისამდე.
- 2020-2021 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრი დასრულდეს 2021 წლის 23 ივლისს.

2.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საამსახურს (ნ. კახაშვილი) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;
4.ბრძანების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელად;
5.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი